ხელშეკრულება #2212/03-20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 დეკემბერი,2020 წელი

შპს „ქლაუდ ცხრა“(შემდგომში “მიმწოდებელი“)
საიდენტიფიკაციო კოდი: 405063755
იურიდ. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი #7)
ფაქტ.მის:თბილისი, წერეთლის გამზ.#2,ოფისი 11
ტელეფონის ნომერი: 242 40 02
ელ-ფოსტა: contact@cloud9.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE59TB 7050436080100004
წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეონა მარტაშვილის მიერ;

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ (შემდგომში „შემსყიდველი”)
საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ფაქტ.მის:მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ტელეფონის ნომერი: 2921667
ელ-ფოსტა: post@comcom.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE11TB0600000000609326
წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის,კახი ბექაურის მიერ;

წინამდებარე ხელშეკრულება იდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრის დაცვით, CPV48222000

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება**
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება) - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი“ – იურიდიული პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი” - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება სერტიფიკატის შემსყიდველისთვის მიწოდების და შემსყიდველის მიერ მისი მიღების შემდეგ.

2. **ხელშეკრულების საგანი**
   2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 2 ერთეული Sectigo Positive SSL Wildcard და 1 ერთეული Postivie SSL სერტიფიკატი, მოქმედების ერთ წლიანი ვადით (შემდგომში სერტიფიკატი ან საქონელი) ;

2.2. სერტიფიკატით შემსყიდველი შეისყიდის დანართი N1 -ში მითითებული დომენური სახელებისთვის, გააქტიურებისთვის ამავე დანართში მითითებული თარიღებიდან ;

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

4. რეგისტრაციის საფასური და გადახდის პირობები

4.1. 1 ცალი Positive SSL Wildcard სერტიფიკატის ღირებულება შეადგენს **360** ლარს, ხოლო 1 ცალი Postivie SSL სერტიფიკატის ღირებულება შეადგენს **30** ლარს, ;

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **750** ლარს, საქართველოს კანონმდებლბით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს სერტიფიკატის მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მიწოდების პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სერთიფიკატები შემსყიდველს უნდა გადაეცეს არაუგვიანეს დანართში მითითებული თარიღებისა.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება იწარმოებს შესაბამის ეტაპზე სერტიფიკატების გადაცემის თარიღის შესაბამისად;

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება კომისიის მხრიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ირაკლი კირკიტაძეს ან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ქსელური ინფრასტრუქტურის წამყვან სპეციალისტს აკაკი სურგულაძეს, რომლებიც არ იმყოფებიან მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

6. მხარეთაუფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.1.2. განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი. ინსპექტირებას შემსყიდველის მიერ განახორციელებს კომისიის მხრიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ქსელური ინფრასტრუქტურის წამყვანი სპეციალისტი აკაკი სურგულაძე, რომელიც არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. დროულად გადაიხადოს სერტიფიკატების მიწოდების საფასური;

6.2.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს სერტიფიკატები ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით;

7. **ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის და შეწყვეტის საფუძვლები**

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

7.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

7.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8. **მარეგულირებელი კანონმდებლობა**

8.1. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობებზე და ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

8.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებულიდავა მხარეებს შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. **ხელშეკრულების სხვა პირობები**

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

10. **ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება**

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

შპს „ქლაუდ ცხრა“	**სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“**
დირექტორი **თეონა მარტაშვილი**	**თავმჯდომარე** **კახი ბექაური**

Cloud 9 LLC Digitally signed by Cloud9 LLC Date: 2020.12.22 15:07:32 +04'00'

დანართი N1

(ხელშეკრულებაზე #2212/03-20)

1. ქ. თბილისი 22 დეკემბერი , 2020

წელიმომსახურების ჩამონათვალი, ღირებულება და ვადები

მომსახურების აღწერა	სერტიფიკატის ვადა	დომენური სახელი	გააქტიურების ვადები	ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
SSL სერტიფიკატი Wildcard	1 (ერთი)წელი	comcom.ge	21.05.21-დან	360
SSL სერტიფიკატი Wildcard	1 (ერთი)წელი	mediatsigniereba.ge	04.06.21-დან	360
SSL სერტიფიკატი (Postivie SSL)	1 (ერთი)წელი	sheamotsme.ge	19.03.21-დან	30
				750

შპს „ქლაუდ ცხრა“

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“

დირექტორი
თეონა მარტაშვილი

თავმჯდომარე
კახი ბექაური

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2020.12.22 12:15:04 +04'00'